სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 2019-19

ქ. ბათუმი 12.09.2019 წელი

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“-ს დირექტორი ინგა გოგიბერიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ეკონათება “-ს დირექტორი შორენა თავდგირიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდ-ველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - თანახმად დანართი №3.

2. სტანდარტები და გარანტია

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოწოდებელი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს გამოცემული პროდუქციის სტანდარტებს. მეორადი საქონლის მოწოდება დაუშვებელია.

2.2. 2.1. პუნქტში აღნიშნული ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და „მიმწოდებელის“ მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი“ თანახმაა „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი . (GPV 31300000,31400000,31500000,39500000,44400000,44500000,).

3.2. „ხელშეკრულება“-ს თან ერთვის საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ფასების ცხრილი (ფორმა №3), რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულები“-ს განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. საქონლის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4.2. საქონლის ღირებულება ერთეულის მიხედვით მოცემულია №3 ფორმაში.

4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 665 (ექვსასსამოცდახუთი) ლარს.

4.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებ-ლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1.. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველი“.

5.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოახდინოს შესასყიდი საქონლის ხარისხის კონტროლი/ინ-სპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.3. „შემსყიდველმა“ თავისდროულად უნდა აცნობოს „მიმწოდებელს“ დაწუნებული საქონლისა და წუნდების შესახებ.

5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის/ინსპექ-ტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №21.

6.3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებაზე თანდართული №3 ფორმის შესაბამისად.

6.4. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ფორმა №3-ში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს „მიმწოდებელს“ საქონლის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.3. საქონლის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

7.4. საქონლის მიღების დასტურია მიღება-ჩაბარების დოკუმენტი.

8. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საკუთარი შემოსავლებიდან.

8.5. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე, „მიმწოდებლის“ მიერ სასაქონლო ზედნადების და ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრუ-ლების ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით.

9.2. „შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების 8.5 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწო-რების ვადების დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაარჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად და ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელების ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

13.3. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებელის“ გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელბიც არა არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

18. შეტყობინება

18.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1. „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 01 დეკემბრის ჩათვლით.

20.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად. აქედან ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელთან“.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“	შ.პ.ს. „ეკონათება“
საინდიფიკაციო კოდი 245608597	საინდიფიკაციო კოდი 445471132
ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №21	ქ.ბათუმი ბარათაშვილის 36
ტელ: 27 35 74	სს „საქართველოს ბანკი“
ელ. მასამართი: bibliotekabatumis@gmail.com	კოდი BAGAGE22
ბანკის დასახელება – სახელმწიფო ხაზინა	ანგ. GE16BG0000000563907500GEL
ბანკის კოდი TRESGE22	
ანგ. GE24NB0330100200165022	
დირექტორი ინგა გოგიბერიძე	დირექტორი შორენა თავდგირიძე

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.ბათუმი 12,09,2019 წელი

ვადასტურებთ,რომ (არაკომერციული) იურიდიული პირი - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ -ს ელექტროსაქონლის გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ა(ა)იპ - „აკაკი წერეთლის სახელობის

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“

დირექტორი ინგა გოგიბერიძე

საფინანსო და სამეურნეო სამსახურის

უფროსი ნათელა ცინცაძე

მთავარი სპეციალისტი სამეურნეო დარგში ალექსანდრე გოგელია

ინფორმაცია
საქონლის დასახელების, რაოდენობის და ფასების შესახებ
ფორმა №3

№	CPV	საქონლის დასახელება	ზომისერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლისფასი
1	31300000	კაბელი	მეტრი	30	2,2	66
2	31500000	ვაზნა ნათურის	ცალი	45	1	45
3	44424200	სკოჩი	შეკვრა	1	3	3
4	31500000	ნათურა	ცალი	50	7	350
5	44424200	ორმაგი სკოჩი	ცალი	2	2,5	5
6	44424200	თვითწებადი ლენტი	ცალი	3	2	6
7	44424200	საიზოლაციო ლენტა	ცალი	1	1,5	1,5
8	44424200	საიზოლაციო ლენტი ფერადი	ცალი	2	1	2
9	44512910	საბურღი პირი სვერლო	ცალი	1	10	10
10	44512200	მკვნეტარა 6 (2-ფერში)	ცალი	1	8	8
11	44512200	მკვნეტარa	ცალი	2	4	8
12	44512200	ბრტყელტუჩა 6	ცალი	1	5	5
13	44512200	ინდიკატორი	ცალი	2	2	4
14	44512800	სახრახნისი	ცალი	1	2	2
15	44512800	სახრახნისი	ცალი	1	1,5	1,5
16	44512800	სახრახნისი	ცალი	1	1	1
17	44500000	ანჯამა (სახსარი)	ცალი	6	3	18
18	44521210	ბოქლომი	ცალი	2	3	6
19	31310000	როზეტი	ცალი	10	4	40
20	31410000	საკონტაქტო ელემენტი	ცალი	10	3	30
21	44521210	ლითონის საბოქლომე	ცალი	10	1	10
22	31410000	საკონტაკტო ელემენ	ცალი	10	0,3	3
23	39500000	თოკი	ცალი	2	1	2
24	31500000	ბრის ლედ ნათურა დროსელით	ცალი	2	15	30
25	31311000	გადამრთველი	ცალი	4	2	8
						665

თანხა: ექვსასსამოცდახუთი ლარი

დირექტორი ინგა გოგიბერიძე

დირექტორი შორენა თავდგირიძე